

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბაკალავრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი ბიძინა ზურაშვილი
პროგრამის მოცულობა	240 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მიზნები	<p>სწავლის შედეგებზე და სწავლის შედეგებით გათვალისწინებული პროფესიული უნარების გამოყენებაზე ორიენტირებული, სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტების მომზადება, რომელთაც შეულიათ:</p> <ul style="list-style-type: none"> - ბიზნეს-ადმინისტრირების საფუძვლების, ბიოსამედიცინო და პროფილური მეცნიერებების ცოდნით მოსახლეობისა და გარემოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიკაცია და მონაწილეობა ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებების მართვაში; - ჯანდაცვის ორგანიზებისა და მართვის თანამედროვე პრინციპების გამოყენებით მონაწილეობა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაგეგმვაში, ორგანიზებასა და ადმინისტრირებაში; - მონაწილეობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსტიტუციების და სერვისების საფინანსო და ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაში, ასევე, სამედიცინო დაწესებულებების მართვის მონიტორინგსა და განვითარებაში.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/-ები	<p>საქართველოს მოქალაქეებისთვის – ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგები თსსუ-ის მიერ დადგენილი და გამოცხადებული საგნების პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. პროგრამაზე უცხოეთის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.</p> <p>საგნები, მათი პრიორიტეტულობა და კოეფიციენტები განისაზღვრება პროგრამის შესწავლის დაწყებისათვის აუცილებელი ცოდნის დონით, შეიძლება შეიცვალოს პროგრამის შედეგების მიღწევის ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიის შესაბამისად და ქვეყნდება ყოველწლიურად, დადგენილი წესის მიხედვით.</p> <p>მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით და თსსუ-ის რეგულაციების შესაბამისად.</p>

<p>სწავლების მეთოდები</p>	<p>სწავლება ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებს და ითვალისწინებს სტუდენტის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. ამ მიზნით გამოიყენება: ლექციები, სემინარები, პრაქტიკუმები, კოლოკვიუმები, ლაბორატორიული სწავლება, პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობები, კლინიკურ გარემოში სწავლება, პრეზენტაციები, სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა, პროექტის დამუშავება, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, სწავლება სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენებით, დისკუსია, დებატები, მონაცემთა ანალიზი, ჯგუფური მუშაობა.</p>
<p>სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი შეესაბამება საქართველოში სათანადო მარეგულირებელი წესების და თსსუ-ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის შესახებ, ეფუძნება გამჭვირვალობასა და სამართლიანობის პრინციპებს.</p> <p>შეფასების კომპონენტებია შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება, მათი ჯამი განსაზღვრავს სტუდენტის საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა, რაც წარმოადგენს შუალედური შეფასებების (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 31 ქულა) და დასკვნითი შეფასების ჯამს. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასების ჯამით შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა.</p> <p>გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ მინიმუმ 20 ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში.</p> <p>შეფასების სისტემა სტუდენტის მიერ მიღებული ყველა კომპონენტით ითვალისწინებს:</p> <p style="padding-left: 40px;">ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი - 91-100 ქულა, (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა, (C) კარგი - 71-80 ქულა, (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა, (E) საკმარისი - 51-60 ქულა,</p> <p style="padding-left: 40px;">ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი/სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასებისათვის დადგენილი დამატებითი მოთხოვნები დეტალურადაა აღწერილი შესაბამის სილაბუსში და ცნობილია სტუდენტებისათვის.</p>

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულმა იცის:

- მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული დაწესებულებების ადმინისტრაციული, მენეჯერული, კომერციული საქმიანობის ორგანიზებისა და შეფასების თანამედროვე პრინციპები;
- ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების ძირითადი კანონზომიერებები გარემოში, ბიოლოგიურ სისტემებში, აცნობიერებს მათი დამოკიდებულების მნიშვნელობას ეკოსისტემაში;
- ადამიანის ორგანიზმის მაკრო- და მიკრომორფოლოგიისა და ფუნქციონის კანონზომიერებები ნორმასა და პათოლოგიაში, აცნობიერებს ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მნიშვნელობას გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და შეფასებისათვის;
- დაავადებათა ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის, კონტროლისა და პრევენციის მნიშვნელობა და არსი, ეპიდემიოლოგიური კვლევის მეთოდები, გადამდებ დაავადებათა შემთხვევებისა და ეპიდემიური აფეთქებების მიზეზების დადგენისა და ეპიდემიური კერის გამოკვლევის მეთოდები;
- საწარმოო ობიექტებზე შრომის პირობებისა და შრომისუნარიანი მოსახლეობის პროფესიული ვარგისიანობის კვლევის მეთოდები.
- ავადობის მონიტორინგის, პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისა და ზედამხედველობის პრინციპები საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- სოციოლოგიური კვლევების ჩატარების, ავადობის ანალიზის, გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების ძირითადი პრინციპები.

უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია სამედიცინო და საანგარიშო დოკუმენტაციის გაფორმება, პროფესიული ამოცანების გადასაწყვეტად ბიოსტატისტიკის მეთოდებისა და პროგრამული ბაზების გამოყენება, პროფესიული ცოდნის გამოყენებით საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობით გათვალისწინებული დარგობრივი და მომიჯნავე ნორმატიული აქტების შესაბამისად და მონაწილეობის მიღება:

- მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზებაში, ყველა დონის, მათ შორის – პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაგეგმვაში, ორგანიზებასა და მართვაში;
- სამედიცინო დაწესებულებების საწარმოო-სამეურნეო, საკადრო და ეკონომიკური საქმიანობის შესწავლაში, მათი სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ხარისხისა და ეფექტურობის შეფასებაში;
- დაავადებათა პროფილაქტიკის გეგმის შედგენასა და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებაში, იმუნოპროფილაქტიკისა და ბიოლოგიური უსაფრთხოების მონიტორინგში;

- გარემოს მავნე ფაქტორებისა და სპეციფიკური რისკის ფაქტორების იდენტიფიცირებაში, სანიტარიულ-ჰიგიენური პრევენციული ღონისძიებების შემუშავებაში და განხორციელებაში;
- პერიოდული სამედიცინო შემოწმების და პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების დაგეგმვასა და მათ განხორციელებაში, პროფესიული დაავადებებით ავადმყოფთა სარეაბილიტაციო ღონისძიებების შემუშავებაში, განხორციელებაში და მონიტორინგში;
- მოზარდი თაობის ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევაში და პრევენციული ღონისძიებების სარეკომენდაციო დოკუმენტაციის მომზადებაში;
- ბიოსამედიცინო და ბიზნეს-ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ადმინისტრაციული, ეპიდემიოლოგიური და სხვ. გარემოებების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია და მდგომარეობის მრავალფაქტორული შეფასება; შესაბამისად, მონაწილეობის მიღება;
- სამედიცინო დაწესებულებებისა და მათი სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასებაში, მომსახურების ფასწარმოქმნის, საფასო პოლიტიკისა და სამოქმედო მიზნების განსაზღვრაში;
- პაციენტთა დახმარების უზრუნველყოფის ხელშეწყობი ღონისძიებების შემუშავებაში;
- რეტროსპექტული და ოპერატიული ანალიზის ჩატარებასა და დაავადებების გავრცელების კანონზომიერებათა დადგენაში, ქრონიკულ დაავადებათა რისკის ფაქტორებზე ზემოქმედების პრევენციული ღონისძიებების შემუშავებაში;
- ადამიანის ჯანმრთელობაზე საარსებო და სამუშაო გარემოს ბუნებრივი და ხელოვნური ფაქტორების გავლენის შესწავლაში და პირველადი ჰიგიენურ-ეკოლოგიური ღონისძიებების შეფასებაში.
- პროფესიული პათოლოგიის ადრეული დიაგნოსტიკისა და პრევენციული ღონისძიებების მონიტორინგის შედეგების შეფასებაში;
- სურსათის, სპეციალიზებული სურსათის (დიეტური, დიაბეტური, ფორტიფიცირებული), ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა კვების პროდუქტების უვნებლობის ნორმების დაცვის მონიტორინგის შედეგების შეფასებაში;
- მიღებული სპეციალობით სამეცნიერო კვლევის ჩატარებაში, შედეგების პირველად ანალიზსა და მეთოდური რეკომენდაციების შემუშავებაში;
- ინტერპერსონალური კომუნიკაცია და გუნდური მუშაობის პრინციპების გამოყენება, სამედიცინო სერვისების ორგანიზებისა და მართვის შესაძლებლობების წარმოჩენა, მათ შორის – პროფესიულ გარემოში;
- მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით გამოვლენილი კანონზომიერებების, არსებული პრობლემებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის

	<p>ადეკვატური გადაცემა და კომუნიკაცია სპეციალისტებისა და არასპეციალისტების გარემოში;</p> <p>- ბიოსამედიცინო და ბიზნეს-ინფორმაციის მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების, შემეცნების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.</p> <p><u>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</u></p> <p>კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი პაციენტებისა და სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებულთა უფლებებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობაში. შეუძლია: მოსახლეობაში პროფილაქტიკური და ეპიდსაწინააღმდეგო საქმიანობის ორგანიზებაში მონაწილეობა, საკუთარი ადგილისა და როლის განსაზღვრა, საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით წარმართვა, სამედიცინო-პროფილაქტიკური აქტივობების პოპულარიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, კრიზისულ სიტუაციებში მოახდინოს დროული და ადეკვატური ქმედება და, საჭიროების შემთხვევაში, ფუნქციის ადეკვატური დელეგირება, გამოავლინოს ორგანიზაციული, მართვითი და ლიდერული თვისებები, ოპერატიულად და სათანადო სიზუსტით აწარმოოს შესაბამისი დოკუმენტაცია.</p> <p>კურსდამთავრებული აცნობიერებს უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული სრულყოფის აუცილებლობას. აქვს დარგობრივი აკადემიური განათლების გაგრძელებისა და პროფესიული სრულყოფისკენ სწრაფვის უნარი. შეუძლია ჯანდაცვის სფეროში საკუთარი ცოდნის, სწავლის პროცესისა და შედეგების თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების ადეკვატურად განსაზღვრა. აქვს მზაობა შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და უწყვეტი პროფესიული განვითარებისისათვის.</p>
<p>კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვთ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა სამაგისტრო პროგრამებზე. ამასთან, პროგრამაში დასახული კომპეტენციების თანმიმდევრული განვითარება ხელს უწყობს მათ დასაქმებას ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა რგოლში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებში, აგრეთვე, საკუთრების სხვადასხვა ფორმის სამედიცინო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია პრევენციული ღონისძიებების გატარებასთან, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან, მათ მომსახურებასთან, მენეჯმენტთან, ასევე, სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში.</p>